შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

ქართული ენა და ლიტერატურა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 65.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აიჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

შემდეგ გვერდზე გადასასვლელად და უკან დასაბრუნებლად
შეგიძლიათ გამოიყენოთ კლავიატურაზე არსებული ღილაკები

საგნობრივი ცოდნა

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მჟღერი ბგერა?

ა) ტ
ბ) ც
გ) ხ
დ) ძ

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ორთემიანი ზმნა?

ა) ვწერ
ბ) ვფენ
გ) ვკვეთ
დ) ვხვეწ

3. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია რიცხვის **3986245** მართებული ჩანაწერი?

ა) სამი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაექვსი ათას ორას ორმოცდახუთი
ბ) სამი მილიონ ცხრაასოთხმოცდაექვსი ათას ორასორმოცდახუთი
გ) სამი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაექვსიათას ორას ორმოცდახუთი
დ) სამიმილიონ ცხრაას ოთხმოცდაექვსი ათას ორასორმოცდახუთი

4. სურათებზე გამოსახულია რამდენიმე ნივთი. რომელი მათგანი <u>**არ გვხვდება**</u>, როგორც წესი, ქართულ ხალხურ ზღაპრებში სირთულესთან გასამკლავებელ ელემენტად (რომელ ნივთს არ გააჩნია ფუნქციური დატვირთვა სიუჟეტის განვითარებაში)?

ა) ქვასანაყი

ბ) შეშა

გ) სალამური

დ) წისქვილის ქვა

5. დაფაზე წერია წინადადება: **თავადი ლევანი, მეფის მარჯვენა ხელი, დაჟინებით გაჰყურებდა ჰორიზონტს.**

წარმოდგენილი წინადადების შესახებ ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია მართებული?

წინადადებაში ვხვდებით:

ა) განკერძოებულ განსაზღვრებას;

ბ) ჩართულს;

გ) დანართს;

დ) განკერძოებულ გარემოებას.

6. მასწავლებელმა ტირეს ფუნქციის შესახებ საუბრისას მოსწავლეებს უთხრა: ტირე რამდენიმე შემთხვევაში იწერება, მაგალითად, როცა შედგენილ შემასმენელში გამოტოვებულია ზმნური ნაწილი, იგივე მეშველი ზმნა.
ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელი გამოდგება ამ წესის საილუსტრაციოდ?

ა) თვალს გავახელ – ზედ წამწამზე მიზიხარ;

ბ) თითოეული ადამიანი – კარის დარაჯი იქნება თუ დირექტორი – მნიშვნელოვანია ჩვენი ორგანიზაციისათვის;

გ) სოფიო მე-9 სართულზე ცხოვრობს, თამრიკო – მერვეზე;

დ) ჩემი ხატია სამშობლო, სახატე – მთელი ქვეყანა.

7. დაადგინეთ შესაბამისობა წარმოდგენილ ფრაზებსა და ფრაზეოლოგიზმებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ფრაზების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ ფრაზეოლოგიზმის შესაბამისი ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ ორი ფრაზეოლოგიზმი ზედმეტია).

ა) უკვალოდ გაქრა
ბ) სასტიკი სისხლისღვრა
გ) ღალატი და გამცემლობა
დ) სარისკო, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა
ე) მარცხი, კრახი
ვ) გამოუვალი სიტუაციიდან თავდაღწევა

1. არც მწვადი დაწვა არც შამფური
2. ბართლომეს ღამე
3. ფიასკოს განცდა
4. არქიმედეს ბერკეტი
5. ჩაილურის წყალი დალია
6. იუდას ამბორი
7. არიადნეს ძაფი
8. რუბიკონის გადალახვა

8. დაადგინეთ შესაბამისობა ზმნის ფორმებსა და მწკრივებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ზმნის ფორმების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი მწკრივის ნომერი. გაითვალისწინეთ, ზოგიერთი პასუხი (მწკრივი) მეორდება.

ა. დავმდგარიყავი	1. II კავშირებითი
ბ. ვახატავდი	2. უწყვეტელი
გ. გავაშრობდი	3. II თურმეობითი
დ. დავატკბო	4. ხოლმეობითი
ე. ვფენდი	
ვ. მივასწავლო	

9. ქცევა ზმნის კატეგორიაა, რომელიც სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობას გამოხატავს. ამის მიხედვით განარჩევენ ნეიტრალურ, სასუბიექტო და საობიექტო ქცევას.
პასუხების ფურცელზე მოცემულ შესაბამის ველში ჩაწერეთ 2 სხვადასხვა ზმნა, რომლებშიც ქცევის ნიშანი **ი**, ერთი მხრივ, გამოხატავს **ა)** სათავისო(სასუბიექტო) და, მეორე მხრივ, **ბ)** სასხვისო (საობიექტო) ქცევას (თითოეულისათვის 1 ზმნა).

ა) ----------

ბ) ----------

(მაქსიმალური ქულა – 2)

10. ამოიცანით და ახსენით, რა შეცდომაა დაშვებული ქვემოთ მოცემულ წინადადებაში.

დიდხანს, დაკვირვებით უმზერდა ლევანი სურათზე გამოსახულ თავსატეხს, რადგან მიმხვდარიყო ავტორის ჩანაფიქრს და წარმატება მოეტანა გუნდისთვის.

(მაქსიმალური ქულა – 2)

11. ქვემოთ მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე <u>**მორფოლოგიური და სინტაქსური**</u> შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.
გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

ავტორს ხშირად შემოჰყავს პიესაში ისეთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები – დაბრძენებულები, ფიქრიანები, დინჯები – როგორსაც ხშირად შევხვდებით რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში. მისი გმირები იგივენაირი გულწრფელობითა და სისადავით გამოირჩევიან, არ კვეთავენ დრამატურგიის თეორიაში არსებულ წითელ ხაზებს და ნაწარმოების დასასრულს რჩებიან თითოეული ჩვენთაგანისათვის იდეალურ, მისაბაძ პიროვნულ მოდელებად.

12. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი ავტორის შემოქმედება **<u>არ გამოგვადგება</u>** მოსწავლეებისათვის ლიტერატურული ზღაპრის გასაცნობად?

ა) კონსტანტინე გამსახურდია
ბ) გურამ პეტრიაშვილი
გ) ოტია იოსელიანი
დ) ვაჟა-ფშაველა

13. რომელ ჩამონათვალშია მართებულად მოცემული მხატვრული ლიტერატურის ჟანრების/გვარების სახეები შემდეგი თანმიმდევრობით – **ლირიკა, ეპოსი, დრამა.**

ა) ტრაგედია, ნოველა, ოდა;
ბ) ჩანახატი, კომედია, ტრაგედია;
გ) ელეგია, რომანი, კომედია;
დ) ეპიგრამა, ნოველა, მოთხრობა.

14. დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში მოცემულ ნაწარმოებებში სტრუქტურა მეტწილად გამოკვეთილია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მხატვრული ტექსტების სტრუქტურული ელემენტების იდენტიფიცირება და შესწავლა. ქვემოთ მოცემულთაგან სიუჟეტის განვითარების ეტაპების თანმიმდევრობის რომელი ვერსიაა მართებული?

ა) კვანძის შეკვრა – მოქმედების განვითარება – კულმინაცია – კვანძის გახსნა;
ბ) მოქმედების განვითარება – კვანძის შეკვრა – კულმინაცია – კვანძის გახსნა;
გ) მოქმედების განვითარება – კულმინაცია – კვანძის შეკვრა – კვანძის გახსნა;
დ) კვანძის შეკვრა – კვანძის გახსნა – მოქმედების განვითარება – კულმინაცია.

15. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი **<u>არ არის</u>** ქართული მითოლოგიური პერსონაჟი?

ა) ოჩოკოჩი

ბ) როკაპი

გ) იახსარი

დ) პრომეთე

16. წაიკითხეთ ნაწყვეტი ბესიკ ხარანაულის ლექსიდან და შეასრულეთ 16.1 – 16.2 დავალებები:

„სად არიან შვილები, შვილები სად არიან,
გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია.
სად არიან შვილები, მე რომ მოგაბარეა,
გავალ, ავეძრახები, არ არიან, ქარია.
საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია,
სად არიან შვილები, ქარია, არ არიან.
სად არიან ვეფხვები, ლერწმიანში არიან,
ლერწმიანში ქარია, ვეფხვები არ არიან.“

16.1 ბესიკ ხარანაულის ლექსის აღნიშნული ნაწყვეტი მდიდარია მხატვრული გამოსახვის საშუალებებით. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელში **<u>არ არის მართებულად</u>** წარმოდგენილი ამ სტროფში გამოყენებული მხატვრული გამოსახვის საშუალებები?

ა) სიმბოლო, მხატვრული გამეორება, მეტაფორა;
ბ) მხატვრული გამეორება, შედარება, მეტაფორა;
გ) მხატვრული გამეორება, ალიტერაცია, მეტაფორა;
დ) შედარება, ალიტერაცია, ეპითეტი.

16.2 ბოლო ორტაეპედის მიხედვით იმსჯელეთ, რა **როლითა თუ ფუნქციით** იყენებს ავტორი ვეფხვის სიმბოლოს.

(მაქსიმალური ქულა – 2)

17. წაიკითხეთ რიჩარდ ბახის მოთხრობის **„თოლია ჯონათან ლივინგსტონი“** ადაპტირებული ვერსია და შეასრულეთ 17.1 – 17.7 დავალებები:

თოლია ჯონათან ლივინგსტონი ჩვეულებრივი თოლია არ გახლდათ. თოლიების უმრავლესობა თავს არ იწუხებს იმით, რომ ფრენის ელემენტარულ წესებზე მეტი რამ ისწავლოს, – მხოლოდ იმდენი, რამდენიც ნაპირიდან გაფრენასა და საკვების შოვნას ეყოფა.

– ჯონ, ასე ძნელია, რომ სხვა თანაგუნდელივით იცხოვრო? – ჰკითხა დედამ ჯონათანს, – რატომ არ დაანებებ თავს პელიკანებსა და ალბატროსებთან ფრენას?

– ჯონათან, – უთხრა მამამ, – არ დაგავიწყდეს: შენი ფრენის მიზანი ჭამაა!

იმ დღეს სხვა თოლიებისთვის სიტყვაც არ უთქვამს, დაღამებამდე ცდებს ატარებდა. აღმოაჩინა მარყუჟი, ნელი გადაბრუნება, წერტილოვანი ვარდნა, ჯაჭვური ბორბალი... ზღვრული სისწრაფე! ეს გარღვევა იყო, უდიდესი ინდივიდუალური მიღწევა გუნდის ისტორიაში.

– ცხოვრების მიზანი გაჩნდა! ახლა შეგვიძლია უმეცრებიდან გამოვიდეთ. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ თავისუფლები! მხოლოდ ის მსურს, სხვა თოლიებს გავუზიარო, რაც გავიგე, ვუჩვენო, რა შესაძლებლობები ჰქონია თითოეულ ჩვენგანს, – თქვა ჯონათანმა.

– თოლია ჯონათან ლივინგსტონ, შენ მალე მიხვდები, ჩვენ ამქვეყნად იმისათვის მოვედით, რომ ვჭამოთ და რაც შეიძლება დიდხანს ვიცოცხლოთ. ეს უპასუხისმგებლობაა!

– უპასუხისმგებლობაო?! ძმებო! – შესძახა ჯონათანმა, – ვინ არის იმ თოლიაზე უფრო მეტად პასუხისმგებელი, რომელიც ეძებს ცხოვრების უფრო ამაღლებულ მიზანს?

გინდ გუნდისათვის უთქვამს, გინდ – ქვისათვის. ყველამ ერთად საზეიმოდ დაიყრუა ყური და საზეიმოდ აქცია ზურგი თოლია ჯონათან ლივინგსტონს.

ამიერიდან ცხოვრებას იგი მარტოობაში ატარებდა. ყოველდღე რაღაც ახალს სწავლობდა. ისწავლა, როგორ დაეძინა ჰაერში. შინაგანი კონტროლის წყალობით ახერხებდა ზღვის მძიმე ბურუსის გარღვევას და მოკრიალებულ ცამდე ასვლას... და ეს მაშინ, როცა ყველა სხვა თოლია მიჯაჭვულივით იდგა მიწაზე ნისლსა და წვიმაში.

შეკითხვებზე გადასვლა: 17.1 17.2 17.3 17.4 17.5 17.6 17.7

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

ჯონათანმა დიდი ხნით დაივიწყა ქვეყანა, საიდანაც მოვიდა. იქ ცხოვრობდა გუნდი, რომელმაც თვალები მაგრად დახუჭა, ფრენის სიხარული რომ არ გაეგო და ფრთებს მხოლოდ და მხოლოდ საკვების მოსაძებნად და იმავე საკვებისთვის საჩხუბარ-საკინკლაოდ ხმარობდა. ნეტავ ამწუთას თუ იბრძვის იქ რომელიმე თოლია იმისათვის, რომ განჭვრიტოს ფრენის უფრო მაღალი აზრი, ვიდრე მეთევზის ნავიდან გადმოყრილი პურის ნამცეცებისათვის ფრენაა.

სამი თვის შემდეგ ჯონათანს უკვე ექვსი მოწაფე ჰყავდა, ყველა – განკვეთილი და, ამავე დროს, გატაცებული ამ უცნაური ახალი იდეით: *ფრენა თვით ფრენის სიხარულისათვის!*

– თითოეული ჩვენგანი, სინამდვილეში, *დიდი თოლიას იდეას* წარმოადგენს, – ამბობდა ჯონათანი საღამოობით ნაპირზე საუბრისას, – მართებული ფრენა კი ჩვენი რეალური ბუნების გამოვლენისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯია. მთელი თქვენი სხეული, ერთი ფრთის წვერიდან მეორე ფრთის წვერამდე, სხვა არაფერია, თუ არა თქვენივე აზრის ხორცშესხმა, – უთხრა ჯონათანმა მოწაფეებს,– გაწყვიტეთ აზრის ჯაჭვი და ამით სხეულის ჯაჭვსაც გაწყვეტთ...

როდესაც ფრენა დასრულდა, მოწაფეები დასასვენებლად ქვიშაზე დასხდნენ და ახლა ჯონათანს უფრო ახლოდან დაუგდეს ყური. მისი ზოგიერთი ველური იდეა მათთვის სრულებით გაუგებარი იყო. გამოპარული ცნობისმოყვარე თოლიები წყვდიადში ისხდნენ და საათობით უსმენდნენ ჯონათანისა და მისი მოწაფეების საუბარს...

ის კი უმარტივეს საგნებზე საუბრობდა: რომ თოლიას უფლება აქვს იფრინოს; რომ თავისუფლება თვით მისი არსი და ბუნებაა.

– რატომ ხდება, – უთხრა საგონებელში ჩავარდნილმა ჯონათანმა ახალგაზრდა თოლია ფლეტჩერს, – რომ ამქვეყნად უძნელესი საქმეა, ფრინველს დაუმტკიცო, „შენ თავისუფალი ხარო“ და რომ ამას თვითონვე დაუმტკიცებდა თავის თავს, თუკი ცოტაოდენს წაივარჯიშებდა. დღიდან დღემდე კიდევ უფრო ღრმად უნდა ეძებო საკუთარი თავი: ნამდვილი და დაუსაზღვრავი თოლია ფლეტჩერი.

შეკითხვებზე გადასვლა: 17.1 17.2 17.3 17.4 17.5 17.6 17.7

17.1 იმსჯელეთ, რატომ უშლის თოლია ჯონათანს დედა პელიკანებსა და ალბატროსებთან ფრენას.

(მაქსიმალური ქულა – 2)

17.2 მოთხრობაში გვხვდება 2 წინადადება: **„ყველამ ერთად საზეიმოდ დაიყრუა ყური...“** და **„...იქ ცხოვრობდა გუნდი, რომელმაც თვალები მაგრად დახუჭა...“** იმსჯელეთ, რა სახის სიყრუესა თუ სიბრმავეზეა ლაპარაკი ტექსტში.

(მაქსიმალური ქულა – 2)

17.3 ახსენით, რა იგულისხმება ფრაზაში: **„გაწყვიტეთ აზრის ჯაჭვი და სხეულის ჯაჭვსაც გაწყვეტთ“.**

(მაქსიმალური ქულა – 2)

17.4 რატომ იყო ჯონათანის ექვსივე მოწაფე განკვეთილი?

(მაქსიმალური ქულა – 1)

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

17.5 ამ მოთხრობას წამძღვარებული აქვს ავტორის სიტყვები: „ნამდვილ თოლია ჯონათანს, თითოეულ ჩვენგანში მცხოვრებს“. განმარტეთ ამ „მეტაფორული მიძღვნის“ არსი.

(მაქსიმალური ქულა – 2)

17.6 რა არის ის მთავარი, რასაც თოლია ჯონათანი ასწავლის თავის მოწაფეებს?

(მაქსიმალური ქულა – 1)

17.7 ამ მოთხრობაში ნათლად იკვეთება ცნობილი ბერძნული გამოთქმის პათოსი: **„შეიცან თავი შენი!“** ეს მოწოდება წარწერილი იყო დელფოსის ტაძრის ფრონტონზე, ტაძარში შესულ ადამიანს შეახსენებდა მის განსხვავებაზე უკვდავთაგან და მოუწოდებდა ზომიერებისკენ. ამ სიტყვებს ზოგი სოკრატეს მიაწერს. გვიანდელი ინტერპრეტაციით, ეს სიტყვები მოუწოდებდა ადამიანს თავისი სიდიადის, ღვთაებრიობის გაცნობიერებისკენ.

გაიაზრეთ რიჩარდ ბახის ეს ნაწარმოები, რომელიც ამ მოწოდების ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. იმსჯელეთ, როგორ შეიძლება დავუკავშიროთ მოთხრობის მხატვრული იდეა ფრაზას - „შეიცან თავი შენი!“

(მაქსიმალური ქულა – 3)

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

18. წაიკითხეთ ოთარ ჭილაძის ლექსი „**სახლი**“ და შეასრულეთ 18.1, 18.2 და 18.3 დავალებები:

წარწერა ვაჟას სახლის კედელზე

გზის პირას იდგა პატარა სახლი
და მის გარშემო ტყე კანკალებდა,
სახლს ჰქონდა ერთი კარგი თვისება:
ხეებს გაშლიდა ხოლმე აფრებად
და მიფრინავდა...
თუმცა, ისედაც
ცის ქვეშ ყველაფერს ათანაბრებდა.
მან თითქოს სხვებზე მეტი იცოდა.
მაგრამ სამღერლად ჰყოფნიდა ცოტაც
და განუწყვეტელ ცეცხლზე იწვოდა,
წვიმდა თუ თოვდა, თუ ქარი ქროდა.
იმ სახლში ცეცხლი ყოველთვის ენთო
და ეკუთვნოდა იგი თანაბრად
ცხვარსაც და მგელსაც,
კაცსაც და ღმერთსაც...
და არ აგდებდა ავდარს არაფრად.
რადგან იცოდა, რომ ავდრის შემდეგ
უფრო ლამაზი იყო ქვეყანა.
და ყველა, ვისაც იცნობდა დღემდე,
უნდოდა დარში გადაეყვანა...
და იდგა მშვიდად...
და არაფერი
არ აკვირვებდა ტყეთა ბინადარს...
ხოლო ხანდახან მწვანე აფრებით
სწყდებოდა მიწას და მიფრინავდა.

18.1 იმსჯელეთ, რას გულისხმობს პოეტი სტრიქონებში:
„იმ სახლში ცეცხლი ყოველთვის ენთო და ეკუთვნოდა იგი თანაბრად ცხვარსაც და მგელსაც, კაცსაც და ღმერთსაც...“

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.2 მიუთითეთ, რომელ ტაეპებში ჩანს ვაჟას სწრაფვა – ადამიანისთვის სამყარო უფრო მშვენიერი გაეხადა. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.3 განმარტეთ მეტაფორული სახე: „ხეებს გაშლიდა ხოლმე აფრებად და მიფრინავდა“ და იმსჯელეთ, რა არის ოთარ ჭილაძის ლექსის მთავარი სათქმელი.

(მაქსიმალური ქულა – 3)

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

სხვა ადამიანის შეხედულებების, ემოციების, განზრახვების გაგებისა და ამ ცოდნის სოციალური სიტუაციების სამართავად გამოყენების უნარს ,,გონების თეორიას“ უწოდებენ. ეს უნარი ბავშვის სოციალური ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა მნიშვნელოვანი საუბრის წარმართვა, კონფლიქტების მოგვარება, მეგობრების შენარჩუნება. თუკი ვიცით, რას ფიქრობენ, რას ელიან, რას განიცდიან ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანები, უკეთ შევძლებთ მათი ქცევის პროგნოზირებას და უკეთ ვუპასუხებთ მათ შესაბამისი ქცევით.

გონების თეორიის შესწავლას არაერთი ექსპერიმენტი მიეძღვნა. ერთ-ერთი ექსპერიმენტი შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ: 1. ბავშვს, პირობითად ანას, აჩვენებენ შოკოლადის ყუთს (რომელზეც შესაბამისი ეტიკეტია დაკრული) და ეკითხებიან, მისი აზრით, რა შეიძლება იდოს ამ ყუთში? ანა, ბუნებრივია, პასუხობს, რომ ყუთში შოკოლადია; 2. ხსნიან ყუთს და აჩვენებენ ანას, რომ ამ ყუთში სათამაშო ძაღლი დევს. შემდეგ ანას თვალწინ ხურავენ ყუთს; 3. შემდეგ ოთახში შემოჰყავთ სხვა ბავშვი, პირობითად, გიორგი და ეკითხებიან ანას: გიორგის არასოდეს ჩაუხედავს ამ ყუთში, შენი აზრით, რას იფიქრებს გიორგი, რა დევს ყუთში? ერთ-ერთი კვლევის მიხედვით ამ შეკითხვაზე სწორად უპასუხა 6-დან 9 წლამდე ბავშვთა 86%-მა, ხოლო 4-დან 6 წლამდე ბავშვთა დაახლოებით 50%-მა. ეს შედეგი აიხსნება იმით, რომ 4 წლის ასაკიდან იწყებენ ბავშვები რეალობისა და ამ რეალობის შესახებ ადამიანის შეხედულების ერთმანეთისგან განსხვავებას, იმის გაგებას, რომ შესაძლოა ადამიანს რეალობის შესახებ ცრუ წარმოდგენა ჰქონდეს.

შეკითხვებზე გადასვლა: 19 20 21 22 23 24 25

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

გონების თეორია მნიშვნელოვან როლს თამაშობს განვითარების დარღვევების პროგნოზის თვალსაზრისით. მაგალითად, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს, რომელთა მთავარ პრობლემას კომუნიკაციის, ურთიერთობის დამყარების სირთულე წარმოადგენს, ეს უნარი გვიან უვითარდებათ ან შეიძლება სრულიად არ განუვითარდეთ. აუტისტ ბავშვს უჭირს იმის გააზრება, რომ სხვა ადამიანს შეიძლება მისგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს.

გონების თეორიის განვითარების მექანიზმის ახსნას რამდენიმე სხვადასხვა თეორიით ცდილობენ. სიმულაციის თეორიის მიხედვით, რომელიც ფრანგი ფილოსოფოსის რენე დეკარტის მოძღვრებას ეფუძნება, ბავშვი თავდაპირველად სწავლობს საკუთარი აზრების, ემოციებისა და განზრახვების იდენტიფიცირებას, ხოლო შემდეგ სიმულირებს წარმოსახვისას, წარმოიდგენს, სხვის ადგილზე რომ ყოფილიყო, რას იფიქრებდა და რას იგრძნობდა. ალტერნატიული, ,,თეორიის თეორიის“ მიხედვით, ბავშვი საკუთარ გარემოზე დაკვირვებისა და მისი შეფასების გზით ავითარებს გონების თეორიას. ბავშვი აკვირდება სხვა ადამიანებს, იაზრებს მათი ქცევის მოტივებს, ფიქრებს, ემოციებს და მხოლოდ ამის შემდეგ სწავლობს საკუთარი გონებრივი პროცესებისა თუ ემოციების გაგებას.

სოციალური უნარების სწავლება რთულია, თუმცა, თუ გვეცოდინება, რა მექანიზმები უდევს საფუძვლად მათ განვითარებას, შევძლებთ, დავეხმაროთ ბავშვებს, გაუმკლავდნენ იმ სოციალურ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ ყოველდღიურობა უყენებს.

შეკითხვებზე გადასვლა: 19 20 21 22 23 24 25

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

19. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შეკითხვაზეა შესაძლებელი პასუხის გაცემა პირველი აბზაცის მიხედვით?

ა) რაში გვეხმარება გონების თეორია?

ბ) როდის ვითარდება გონების თეორია?

გ) როგორ ვითარდება გონების თეორია?

დ) რომელი უნარებია გონების თეორიის განვითარების წინაპირობა?

დაბრუნება ტექსტის I გვერდზე
დაბრუნება ტექსტის II გვერდზე

20. მეორე აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტის მიხედვით, 6-დან 9 წლამდე ბავშვების 14%-მა შეკითხვაზე – ,,გიორგის არასოდეს ჩაუხედავს ამ ყუთში, შენი აზრით, რას იფიქრებს გიორგი, რა დევს ყუთში? “ – უპასუხეს:

გიორგი იფიქრებს, რომ:

ა) ყუთი ცარიელია;
ბ) ყუთში დევს შოკოლადი;
გ) ყუთში დევს სათამაშო ძაღლი;
დ) ყუთში აწყვია როგორც შოკოლადი, ასევე სათამაშო ძაღლი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

21. მეორე აბზაცში ვკითხულობთ: ,,ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ამ შეკითხვაზე სწორად უპასუხა 6-დან 9 წლამდე ბავშვთა 86%-მა, ხოლო 4-დან 6 წლამდე ბავშვთა დაახლოებით 50%-მა“. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს აღნიშნული შედეგი?

ა) 6-დან 9 წლამდე ბავშვების უმეტესობას ჯერ კიდევ არ შეუძლია იმის გააზრება, რომ ადამიანს რეალობის შესახებ მცდარი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეს;

ბ) 4-დან 6 წლამდე ასაკის დაახლოებით 50%-ს, ხოლო 6-დან 9 წლამდე ბავშვთა 14%-ს სავარაუდოდ, განვითარების დარღვევა აღენიშნებოდა;

გ) 4-დან 6 წლამდე ბავშვების უმეტესობას უკვე შეუძლია გაიაზროს, რომ რეალობა და ამ რეალობის შესახებ ადამიანის წარმოდგენა შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან;

დ) 6-დან 9 წლამდე ასაკში ბავშვებს უკეთ შეუძლიათ მოვლენების შესახებ სხვისი წარმოდგენების გაგება, ვიდრე 4-დან 6 წლამდე ასაკში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

22. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება გამოგვადგეს არგუმენტად იმისა, რომ გონების თეორია სოციალურ უნარებთან არის დაკავშირებული?

ა) ეს უნარი ბავშვის სოციალური ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა მნიშვნელოვანი საუბრის წარმართვა, კონფლიქტების მოგვარება, მეგობრების შენარჩუნება;

ბ) 4 წლის ასაკიდან იწყებენ ბავშვები რეალობისა და ამ რეალობის შესახებ ადამიანის შეხედულების ერთმანეთისგან განსხვავებას;

გ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს, რომელთა მთავარ პრობლემას კომუნიკაციის, სოციალური ურთიერთობის დამყარების სირთულე წარმოადგენს, გონების თეორია გვიან უვითარდებათ ან შეიძლება სრულებით არ განუვითარდეთ;

დ) სოციალური უნარების სწავლება რთულია, თუმცა, თუ გვეცოდინება, რა მექანიზმები უდევს საფუძვლად მათ განვითარებას, შევძლებთ დავეხმაროთ ბავშვებს, გაუმკლავდნენ იმ სოციალურ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ ყოველდღიურობა უყენებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

23. მესამე აბზაცში ვკითხულობთ: ,,აუტისტ ბავშვს უჭირს იმის გააზრება, რომ სხვა ადამიანს შეიძლება მისგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს.“ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ მოსაზრების ილუსტრაცია?

ა) თუკი აუტისტ ბავშვს შემთხვევით გაუტყდა ჭიქა და ეს მხოლოდ მისმა ძმამ დაინახა, ის ხვდება, რომ ამ ,,დანაშაულის“ პასუხისმგებლობა დედის წინაშე ორივემ უნდა გაიზიაროს;

ბ) თუკი აუტისტ ბავშვს შემთხვევით გაუტყდა ჭიქა და ეს მისმა ძმამ დაინახა, მას ჰგონია, რომ ძმა ამის შესახებ დედას აუცილებლად მოუყვება;

გ) თუკი აუტისტმა ბავშვმა დაინახა, რომ მისმა ძმამ ჭიქა გატეხა, მაგრამ ეს დედას არ დაუნახავს, მას ჰგონია, რომ დედამაც იცის, ვინ გატეხა ჭიქა;

დ) თუკი აუტისტმა ბავშვმა დაინახა, რომ მისმა ძმამ ჭიქა გატეხა, მაგრამ ეს დედას არ დაუნახავს, ის ხვდება, რომ დედამ არ იცის, ვინ გატეხა ჭიქა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

24. ტექსტში წარმოდგენილია ორი თეორია, რომლებითაც ცდილობენ ახსნან გონების თეორიის განვითარების მექანიზმი. რა მიმართებაა მათ შორის?

ა) სიმულაციის თეორიაში წარმოდგენილი პრინციპი გონების თეორიის განვითარების მექანიზმის შესახებ ავსებს თეორიის თეორიის მიერ შემოთავაზებულ ახსნას;

ბ) სიმულაციის თეორიაში წარმოდგენილია გონების თეორიის განვითარების შესახებ თეორიის თეორიის საპირისპირო პრინციპი;

გ) ორივე თეორიაში გონების თეორიის განვითარების მექანიზმის შესახებ იდენტური ახსნაა წარმოდგენილი;

დ) სიმულაციის თეორიაში წარმოდგენილი პრინციპი გონების თეორიის განვითარების შესახებ განამტკიცებს თეორიის თეორიაში წარმოდგენილ ახსნას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

25. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი საკითხი **<u>არ არის</u>** განხილული ტექსტში?

ა) გონების თეორიის განვითარების საფუძვლები;
ბ) გონების თეორიის ექსპერიმენტული დასაბუთება;
გ) გონების თეორიის და სხვა კოგნიტური უნარების კავშირი;
დ) გონების თეორიის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებისთვის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

26. ანალიტიკური წერა

ვაჟა-ფშაველა ლექსში „ჩემი ვედრება“ წერს :

„ ... ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;”

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მთავარი პერსონაჟი თეიმურაზ ხევისთავი კი ამბობს:

„ – ვინც თავის მტერს იბრალებს, ის თავისივე თავს ჰღუპავს. გულჩვილნი და გულკეთილნი ამ ქვეყნად ვეღარ გასძლებენ. მეც ცხოვრების წიგნაკში ასეთი სადღეისო მცნება ჩავიწერე: მგლებთან მგლობა და ცხვრებთანაც მგლობა.”

<u>გაიაზრეთ მოცემული ნაწყვეტები და იმსჯელეთ:</u>

- **რა მორალური დილემა არის წამოჭრილი მოცემულ ნაწყვეტებში?**
- **რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ეს ზნეობრივი არჩევანი მასწავლებლებს სწავლებისა თუ აღზრდის პროცესში?**
- **რა შეიძლება დავსახოთ ამ პრობლემის გადაჭრის გზად?**

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.
თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. *(მაქსიმალური ქულა – 11)*